ცხოვრების მიზნად სიმართლე გქონდეს და სიყვარული მოძმეთა ვალად!

34 (9974) • 24 seqtemberi • 2012 w.

ალიონი

gazeTi gamodis
1931 wlis 5 ianvridan

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

ყოველკვირეული გამოშვება

ფასი 20 თეთრი

ფასიანი პოლიტიკური რეკლამა

„რასაც გპირდებით, აუცილებლად ავასრულებ“

გაზეთი „ალიონი“

გუშინ კოალიცია „ქართული ოცნების“ლიდერი ბიძინა ივანიშვილი დაბა ჩოხატაურში, საკათედრო ტაძრის მიმდებარე მოედანზე აქაურ ამომრჩევლებს შეხვდა. შეხვედრას ამ კოალიციის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატები კახი კალაძე, ეკა ბესელია, ზვიად კვაჭანტირაძე და თემურ ჭკუასელი ესწრებოდნენ.

შეხვედრა გახსნა ჩოხატაურელმა პედაგოგმა რუსუდან ბერიშვილმა.

ბიძინა ივანიშვილმა ვრცლად ისაუბრა ბოლო პერიოდში საქართველოში განვითარებულ მოვლენებზე და მათი კოალიციის მიზნებზე.

— ჩვენ აუცილებლად გავიმარჯვებთ. მან ნაბოდვარი უწოდა ხელისუფლების ბრალდებებს, რომ ციხეში ჩანაწერები ბიძინა ივანიშვილის დავალებით კეთდებოდა.

მე არ მოვსულვარ ცარიელი სიტყვებით—მე ბევრი მაქვს გაკეთებული და ამიტომაც გეუბნებით. მე არ მიყვარს გაკეთებულ საქმეებზე საუბარი, მაგრამ რასაც გპირდებით, აუცილებლად ავასრულებ.

მან ისაუბრა მათი კოალიციის პროგრამაზე და სოფლის მეურნეობასაც შეეხო.

—მე გპირდებით, რომ პირველ ეტაპზე ერთ მილიარდ ლარს ჩავდებთ სოფლის მეურნეობაში. ყველა ფერმერს შეეძლება გრძელვადიანი კრედიტის მიღება, მანქანა-ტრაქტორის შეძენა. სოფლებში აშენდება მცირე გადამამუშავებელი საწარმოები. გლეხებს დავეხმარებით, რომ მათ მინიმუმ სამ წელს საყანე ფართობები დავუმუშაოთ. მინერალური სასუქი უფასოდ მივაწოდოთ...

—იზიარებთ თქვენ ყველა იმ პასუხისმგებლობას, რაც ამ მთავრობას აკისრია? იზიარებთ იმას, რაც ამ ბოლო დროს საქართველოში მოხდა? ამ იდეოლოგიას შეიძლება ხმა მისცეს ნორმალურმა ადამიანმა?—მან ამ შეკითხვებით მოუწოდა ჩოხატაურის მაჟორიტარ დეპუტატობის კანდიდატ მანანა ჯინჭარაძეს და სხვა კანდიდატებს მოხსნან თავიანთი კანდიდატურები.

ჩოხატაურის შემდეგ ბიძინა ივანიშვილი ლანჩხუთელ ამომრჩევლებს შეხვდა.

„ყველა რეფორმა საჭიროა იმისთვის, ადამიანებმა თავი იგრძნონ მშვიდად“

ნინო ნიკოლაიშვილი

— რა რეფორმაც არ უნდა ტარდებოდეს, არ უნდა დაგვავიწყდეს არც ჩვენ და არც სხვა მთავრობას, რომ ყველა რეფორმა საჭიროა იმისთვის, რომ ადამიანმა თავი იგრძნოს მშვიდად — განაცხადა გასული კვირის პარასკევს ქრისტიან-დემოკრატიული პარტიის ლიდერმა გიორგი თარგამაძემ ოზურგეთში, ხალხთან შეხვედრისას. მისი თქმით, ადამიანთა განვლილ მუშაობაზე დაკვირვების შემდეგ, აღარ არის შეცდომების დაშვების უფლება. ხოლო ხელისუფლების წარმომადგენელთა ტონში წუხილის გამოხატვას ნიანგის ცრემლები უწოდა და მიმდინარე მოვლენებზე ყველა მაღალჩინოსნის პასუხისმგებლობასა და კანონდარღვევათა წინააღმდეგ სამართლებრივ ბრძოლაზე ისაუბრა.

—„ ადამიანთა წარსულს თუ დააკვირდებით, შეცდომების დაშვების უფლება აღარ გაქვს. ვინც ამ მთავრობას პროფესიონალს და კვალიფიციურს

▶▶▶ გვ-4

თამარ მალაზონიამ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ რიგები დატოვა

—ბოლო დროს განვითარებული მოვლენებიდან გამომდინარე მივიღე გადაწყვეტილება დავტოვო „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ რიგები და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გურიანთის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულის თანაშემწის თანამდებობა —განაცხადა კოალიციის „ბიძინა ივანიშვილი —ქართული ოცნება“ ოზურგეთის ორგანიზაციის ოფისში თამარ მალაზონიამ.

ის, რაც მედიასაშუალებებით ვნახეთ, ამაზრზენი და აღმაშფოთებელია. მე „ნაციოანალური მოძრაობის“ რიგებში ოზურგეთში მისი დაარსებიდან ვარ. ოთხწელნახევარია რწმუნებულის თანაშემწედ ვმუშაობ. ჩემი ძმა ზურაბ მალაზონია პოლიციელი იყო და იქ თანამდებობა ეკავა. მას პოლიციაში ისეთ რამეებს ავალებდნენ, არ შეეძლო გაკეთება და ამიტომ პრობლემები შეექმნა. დღეს იგი დევნილია და საფრანგეთშია. ესეც იყო ალბათ ჩემი პროტესტის მიზეზი.

მე ჩემს ადგილს „ქართულ ოცნებაში“ ვხედავ, სადაც საღი აზრია და სხვა მომავალს ვხედავ, ამიტომ ამ გაერთიანების წევრი გავხდები.

ცესკო

2012 წლის 1 ოქტომბერს ტარდება:

საქართველოს პარლამენტის არჩევნები

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნები

საარჩევნო უბანზე მისვლისას თან იქონიეთ საქართველოს მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი მოწმობა/ID ბარათი ან საქართველოს მოქალაქის პასპორტი (იძულებით გადაადგილებული პირის შემთხვევაში აგრეთვე - დევნილის მოწმობა), ხოლო თუ ხართ ევროკავშირის წევრი ქვეყნის მოქალაქე, თან იქონიეთ ევროკავშირის წევრი ქვეყნის მოქალაქის პასპორტი

ხმის მისაცემად აუცილებელი პროცედურები:

- ნაკადის მომწესრიგებელთან გაიარეთ მარკირების შემოწმების პროცედურა

  ყურადღება!
  თუ აღმოჩნდება, რომ არ გაქვთ მარკირება, ვერ შეძლებთ კენჭისყრის შენობაში შესვლას და კენჭისყრაში მონაწილეობას

- რეგისტრატორთან გაიარეთ მარკირების პროცედურა

  ყურადღება!
  მარკირებაზე უარის თქმის შემთხვევაში ვერ შეძლებთ არჩევნებში მონაწილეობის მიღებას

- ამომრჩეველთა სიაში თქვენი გვარის გასწვრივ ხელმოწერით დაადასტურეთ ბიულეტენ(ებ)ის მიღება

- მიიღეთ რეგისტრატორის მიერ ხელმოწერილი და რეგისტრატორის ბეჭდით დამოწმებული ბიულეტენ(ებ)ი

- შედით ფარული კენჭისყრის კაბინაში, გააკეთეთ არჩევანი, შემოხაზეთ თქვენთვის სასურველი სუბიექტის რიგითი ნომერი და გადაკეცეთ ბიულეტენ(ებ)ი ისე, რომ არ ჩანდეს, თუ ვის მიეცით ხმა\

- სპეციალური კონვერტი მოათავსეთ საარჩევნო ყუთში

- ხმის მიცემის შემდეგ დატოვეთ საარჩევნო უბანი

ცესკოს ცხელი ხაზი: 251 00 51
www.cesko.ge

გასულ წელთან შედარებით პირველკლასელთა რიცხვი ნაკლებია

მარი კოძოევი

თუ როგორ შეხვდნენ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლები ახალ სასწავლო წელს, ამა თემაზე ოზურგეთის რესურსცენტრის ხელმძღვანელმა ირინა ინარიძემ პრესკონფერენცია გამართა.

სასერთიფიკაციო გამოცდებისთვის რეგისტრაცია ოზურგეთის 643-მა პედაგოგმა გაიარა. აქედან სერთიფიკატი 209-მ მიიღო. 1000 ლარიანი ხელფასი აქვს 8 პედაგოგს, მათ შორის ორი დირექტორია. „ქალაქის სკოლების მასწავლებელთა თითქმის 25% სერთიფიცირებულია, ასევე კარგი მაჩვენებელია სოფლის სკოლებში. კარგი შედეგები გვაქვს ეროვნულ გამოცდებშიც." აღნიშნა ოზურგეთის საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელმა ირინა ინარიძემ. ოზურგეთში სულ გვყავდა სამი მედალოსანი (ორი ოქრო, ერთი ვერცხლი) სამივე მათგანმა 100 პროცენტიანი გრანტი მიიღო. სულ გრანტი 81 მოსწავლემ მიიღო. 100 პროცენტიანი 15-მა, 70 პროცენტიანი 24-მა, 50 პროცენტიანი 15-მა, 30 პროცენტიანი 27-მა.

ინფრასტრუქტურული სამუშაოები ჩატარდა 16 სკოლაში. მიმდინარე სასწავლო წელს სამი სკოლის სრული რეაბილიტაცია იგეგმება, ეს არის მერიის, ნასაკირალის და ლაითურის სკოლები. ჭანიეთში აშენდება ახალი სკოლა, რადგან უკვე არსებული რეაბილიტაციას არ ექვემდებარება.

გასულ წელთან შედარებით პირველკლასელთა რიცხვი შემცირდა. რამდენიმე სოფლის სკოლაში სულ ორი პირველკლასელია. მაგალითად ბაილეთში.

ყველაზე დიდი რაოდენობა პირველკლასელებისა, 76 ბავშვი, დარეგისტრირდა მეორე საჯარო სკოლაში.

რაც შეეხება მასწავლებელთა სერთიფიცირებას და მათ სრულ დატვირთვას, „ალიონის" კითხვაზე მისი პასუხი ასეთი გახლდათ: –მასწავლებლებმა იციან, 2014 წლამდე უნდა გახდნენ სერთიფიცირებულნი. ვინც ვერ გახდება სერთიფიცირებული, ბუნებრივია სახლში წავა.

ნათელა თოხაძე მელექედურის №34 საარჩევნო უბანში შექმნილ მდგომარეობაზე საუბრობს

გაზეთი „ალიონი"

21 სექტემბერს, კოალიცია „ბიძინა ივანიშვილი –ქართული ოცნება" ოზურგეთის ორგანიზაციის ოფისში ამ კოალიციის წევრმა ნათელა თოხაძემ ჟურნალისტებთან მელექედურის №34 საარჩევნო უბანში არსებულ დარღვევებზე ისაუბრა.

მისი თქმით, საარჩევნო უბანში კომისიის წევრი ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულის დედა მარინა თავბერიძე ავალებს მათი პარტიისათვის სანდო ადამიანებს, რომ ბიულეტენებს მიაწერონ საარჩევნო ნომერი, ან ჩადონ კონვერტში.

ხელოვნურად გაზრდილია იმ პირთა სია, რომლებთანაც გადასატანი ყუთი უნდა მიიტანონ.

კომისიის თავმჯდომარე ეკატერინე მგელაძემ არ მისცა საშუალება კომისიის წევრს „ქართული ოცნებიდან" კედლიდან ჩამოეხსნათ საარჩევნო სიები და ისე ეპუშავათ.

მანანა ტაბატაძე საქართველოს ტოვებს?

ნუგზარ ოთარიშვილი

პროფესიით პედაგოგ მანანა ტაბატაძეს საზოგადოება უფრო ცხოველთა დამცველის სახელით იცნობს. იგი არასამთავრობო ორგანიზაცია „გურიის ცხოველთა დაცვის" საზოგადოებას ხელმძღვანელობდა. ამ თემაზე არაერთი სტატია დაიბეჭდა გაზეთ „ალიონში." გარდა ამისა, იგი საქველმოქმედო საქმიანობასაც ეწეოდა, რომლის გახმოვანებაც მას არ სურს, რადგან მისი თქმით, „სიკეთეს რეკლამა არ სჭირდება."

როგორც ქალბატონმა მანანამ გუშინ გაზეთ „ალიონის" რედაქციაში განაცხადა, მისი საქმიანობა მიუღებელი იყო რიგი ჩინოვნიკებისთვის, რომლებსაც არა თუ ცხოველების, არამედ ადამიანების მიმართაც კი გამქრალი აქვთ სიბრალულის გრძნობა. ბევრ წინააღმდეგობას და დამცირებას განიცდიდა თვით იმ ორგანიზაციიდანაც, რომელიც მაწანწალა ძაღლებს ანადგურებს. ამას დაემატა ჩემი თურქეთში სამუშაოს საძებრად ყოფნისას, ჩემი თანამემამულეების მიერ ტრეფიკინგის მცდელობაც. ყოველივე ამან გადამწყვეტინა გამეუქმებინა გურიის ცხოველთა დაცვის საზოგადოება და სიმშვიდე დამებრუნებინა იმათვის, ვინც ჩემს საქმიანობას უარყოფითად აღითქვამდა. 111 ლარი ბაჟი გადავიხადე საჯარო რეესტრში ორგანიზაციის გასაუქმებლად.

ვიცი, უცნაურად ჟღერს, მაგრამ ქვეყნის დატოვებასაც ვაპირებ. აქ ცხოველთა დაცვას კი არა, თავის დაცვასაც კი ვეღარ ვახერხებ. იმ ქვეყანაში, სადაც კეთილშობილი საქმიანობა დაცინვას, დამცირებას და დევნას იწვევს არა მარტო რიგითი მოქალაქეებიდან, არამედ სახელმწიფო მოხელეებიდანაც კი, ცხოვრება არ ღირს. ესაა ქართული „გულისხმიერების" შედეგი.

ქართველობით თამაში რაღაა

ნინო ნიკოლაიშვილი



საქართველოს მიწის შვილობა არც რაიმე პრივილეგია, ან სასჯელი არასდროს ყოფილა. იყო უამრავი განსაცდელი და დიდი სიყვარული მხოლოდ. ქართველობაც ამ მოვლენებსა და გრძნობებში ნაწილდებოდა ოდითგან. აქვე ოდითგან მოყოლებულთ უცხოვრიათ და ცხოვრობენ აქაც შვილად მიღებულნი სხვადასხვა ერისანი ათობით, ასობით, ათასობით. ან რად არ უნდა ეცხოვრათ, ყველა ერს ხომ თავისი სიფაქიზე, თავისი სიძლიერე, თავისი ღირსება გააჩნია და ამ დალოცვილი მიწის შვილობაც განგებამ ხომ მათ მიჰმადლა.

თუმცა მავანთ ასეთი ფიქრებიც მოსძალებიათ: – გახსოვდეთ, საშიშნი ის ადამიანები არიან, რომლებიც საკუთარი მიწის ბატონ-პატრონად მიიჩნევენ თავს. ამ ადამიანთა სამართავად ბევრი რამ აურ-დაურიეს, ბევრნი უღვთოდ შეაქეზეს, მშვენივრად გაატარეს –გახლიჩე და იბატონეს- პოლიტიკა. ერებიც ერთმანეთს წაჰკიდეს და მიწათა ბატონ-პატრონობის სურვილიც სხვაგვარად განუწესეს თავად ქვეყნებში და ქვეყნებს ერთმანეთში. უფრო სწორად პატრონობის სურვილი გვერდზე მიუწიეს და ბატონობა წამოუწიეს მაღლა მხოლოდ. რწმენაც გაუბზარეს, და ასეთ ქაოსში გაბნეულ, დაბნეულ ადამიანებზე ბატონობით ხარხარებს უკეთური. არ აქვს მნიშვნელობა, რომელი რწმენისანი, ან რომელი ერისანი იყვნენ, ან არიან.

ქართველობა ვახსენეთ ზემოთ და ქართველობით თამაში რაღაა. სწორედ ამ თამაშით იყიდებოდა საქართველო, იყიდება დღესაც. „იყიდება საქართველო, ყიდის ყველა..." ამ ტკივილმა ამოაკვნესა ეს სიტყვები ნიკო ლორთქიფანიძეს, გული აუტირა, რომლის ტკივილიც სწორედ მოთამაშე ქართველებმა, ან კიდევ სხვებმა გააყოლეს იმ ქვეყნად, მასაც და ბევრ სხვასაც ღირსება რომ არ დაკარგეს, იმიტომ... ისევ ხარხარებს უკეთური...

ამ ამოკვნესებამ და ხარხარმაც კვლავ აიხმიანა. დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის ნაწილის ხილვისა და მოლოცვის შესაძლებლობა გვიწყალობა უფალმა. ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ოზურგეთის საკათედრო ტაძრის წინამძღვრის მამა ბასილი კვირჩილაძის წინამძღოლობით.

მეწამული ფერი მიეღო ცას ცისა და მიწის შესაყართან. ბალახსა და ყვავილებზე ალმასისფრად ფრქვეულ ნამში იმ მიწის ხიბლი ჩახატულიყო, გასაოცარი ენერგიით რომ გავსებს... მერე თანდათან აირეკლა ტაძარი ქვათაგან ნაშენი თუ ქვაში ნაკვეთი. ბუნებისა და ადამიანთა მიერ ხელქმნილი ერთობლივი საოცრება. ეს არ შეიძლება წარმოიდგინო, ეს უნდა ნახო და შეიგრძნო.

მიწა დუდუნებდა თითქოს, ფოთლებიც ჩურჩულებდნენ ამაზე, იმ მიწას გედავებიან, ასე რუდუნებით რომ პატრონობდნენ შენი წინაპრები, ექვსი ათასი მოწამე ბერის და კიდევ რამდენის სისხლით რომ მორწყო დამპყრობელმა. ყაზბეგი გამახსენდა და საკუთარ გრძნობებსა თუ უგრძნობელობას აყოლილიც. სამშობლოს სიყვარულზე მოსაუბრე, საკუთარი კეთილდღეობისთვის ქვეყნის გამყიდველნიც. დაუფიქრებლად რომ ყიდიან, იქნებ გამიზნულადაც, ან როგორც შეუძლიათ, ისე. ასე გაყიდეს და გააჩუქეს დღეს უკვე უცხოთა კუთვნილებად ქცეული რამდენი განძი ქვეყნისა.

გარეჯში სოფელ უდაბნოს მცხოვრებ ახალგაზრდებს გავესაუბრეთ.

– აქ ეკომიგრანტები ვცხოვრობთ, რაჭველები, სვანები, მოხევეები. ძალიან მძიმე მდგომარეობაში ვიყავით. მრევლს საშუალება არ ეძლეოდა ჩვენს წმინდა ადგილებთან მიახლებისა. ახლა გვიშვებენ. ამბობენ ასე არჩევნებამდე იქნება, მერე ისევ დადგება ეს პრობლემაო. ამ საუბარს ერთ-ერთი დამთვალიერებელი შეესწრო აჭარიდან. რომელმაც თავისი ოჯახის წევრის ნამბობი გაიხსენა. – ჩემი ოჯახის წევრი გონიოს ციხეში თურქი დამთვალიერებელთა ერთ-ერთ ჯგუფთან მოხვდა. მან თურქული კარგად იცის. თურქი გიდი უხსნიდა თურქ დამთვალიერებელს, რომ ეს ციხეცა და ტერიტორიაც თურქების იყო და იმედი აქვთ მალევე დაიბრუნებენო.

მ. ნ. –„ გარეჯში საუბარია სამოცდაათი მეტრით საზღვრის გადმოწევაზე, რომლითაც უნდათ აზერბაიჯანელთა გულის მოგება ხმების სანაცვლოდ... იქაური მწყემსებიც გამიზნულად მოერეკებიან ჩვენსკენ საქონელს."

მერე ჩვენს თვალწინ იოანე ნათლისმცემლის სახელობის უდაბნოს ქვაში ნაკვეთი ტაძარი ვიხილეთ თავისი მოკრძალებით და დიდებულებით, მოწმე და სახე მოკვდავთა დიდსულოვნების და სულმდაბლობისაც. პირველი – უფლისმიერი შთაგონებით ქვასთან შერკინებულ დიდოსტატთა ხელთქმნილი და მეორე – ქვადნაკვეთ გუმბათს გაჩენილი ბზარები და განადგურებული ფრესკები, გასული საუკუნის ოციან წლებში ბოლშევიკთა „ნამოღვაწარი".

სამწუხაროდ მეორდება ზოგჯერ მოვლენები, სხვადასხვა ფორმითა და სახით. კვლავ მოდავება, კვლავ წაკიდება, ხელის მოთბობა და ვაჭრობა იმ ქმნილთა ხვედრით, რომლიც ზოგთათვის შემოსავლისა და მოგების მხარეა მხოლოდ, ზოგისთვის შურისგებისა, ზოგისთვის კიდევ სულის ტკივილი და სულიერების ამაღლება.

„მინდა ჭეშმარიტ რეალურ მოვლენებს ვხედავდე პროცესში"

გაზეთი „ალიონი"

ეს სიტყვები ოზურგეთელს, სომეხი ეროვნების მოქალაქეს პეტრე გასპარიანს ეკუთვნის. არ ვიცი კონკრეტულად რა მოვლენებს გულისხმობდა ბატონი პეტრე, მაგრამ სომეხ მოქალაქეებთან საუბარში დავრწმუნდი, რომ ისინი ამ არჩევნებში შორს არიან რეალური მოვლენებიდან

ციალა გასპარიანი (ქ. ოზურგეთი, გრიბოედოვის № 21-ში მცხოვრები):–ამ არჩევნებიდან ის ვიცი, რომ მოვიდნენ მეზობლები და მითხრეს, პასპორტი მომეცი, უნდა გაგატარო ვისი მომხრე ხარო. არ ვიცი რას ნიშნავს „კარდაკარ," არჩევნებზე ხმას №1 საშუალო სკოლაზე რომ საარჩევნო უბანია, იქ ვაძლევ.

ოგანეს გასპარიანი; –60 წლის ვარ, II ჯგუფის ინვალიდი. მომიხსნეს პენსია. დასუფთავების სამსახურში ვმუშაობ. არჩევნების დღეს მივალ საარჩევნო უბანში და ხმას მივცემ...

პეტრე ოგანესიანი: –დიდი ხანია ოზურგეთში ვცხოვრობ. ვმუშაობდი ფოსტაში, აბრეშუმის ფაბრიკაში, ახლა ქუჩებს ვასუფთავებთ. მყავს შვილი და ორი შვილიშვილი. არჩევნებში სულ ვმონაწილეობ. „კარდაკარიდანაც" იყვნენ და ხელისუფლებიდანაც. რას მოველი არჩევნებიდან? იქნებ საავადმყოფოში შევძლო მისვლა. დღეს იქ ისეთი ფასებია, ვერ გაეკარები.

ისე ჩემი მოქალაეობა მავალებს, უფრო მნიშვნელოვან საკითხებში წვდომას. მინდა ჭეშმარიტ რეალურ მოვლენებს ვხედავდე პროცესში, თუ ჯერ დეპუტატობის არცერთ კანდიდატს არ ვიცნობ.

შურა ტუტოიანი:– სომეხი ეროვნების მოქალაქეები ბლომადაა ქ. ოზურგეთში, ჩვენს უბანში (ზაურ თენიეშვილისა და ჩოხატაურის ქუჩები). მამა ომში დამელუპა. II ჯგუფის ინვალიდი ვარ. (33 წლის წინ ცალი თირკმელი ამომიღეს) იმის გამო, რომ ვმუშაობ, პენსია 10 თვეა მომიხსნეს. დასუფთავების სამსახურში ვმუშაობ, ქალაქის ქუჩებს ვგვი. 215 ლარი მაქვს ხელფასი, მაგრამ 27 წლის ავადმყოფი ბიჭი მყავს, მის წამლებს არ ჰყოფნის ეს თანხა. წყალი არ მაქვს, არც ბუნებრივი აირი შევიყვანე. ფული ხომ უნდა ამას. ადრე შეგეძლო ზაფხულობით ჩაი მოგეკრიფა და დამატებითი შემოსავალი მიგელო. აბრეშუმის ფაბრიკაში 20 წელი ვიმუშავე, უასქმოდ არასდროს ვყოფილვარ. რა მოხდება, ჩვენნაირი ადამიანები, რომლებსაც შესაბამისი ასაკი გვაქვს და შრომის სტაჟიც, ხელფასთან ერთად პენსიასაც ღებულობდნენ?

კი ბატონო მივალ არჩევნებზე, მაგრამ გაითავისებენ კი ჩვენს პრობლემებს? პარტიებმა ჩვენი გულისტკივილიც უნდა გაიგონ!

„ყველა რეფორმა საჭიროა იმისთვის, ადამიანებმა თავი იგრძნონ მშვიდად“

უწოდებს, მათ არ იციან ამ სიტყვის მნიშვნელობა. კალმახლოიძე და ახალაია არა თუ უნდა გადადგნენ სამსახურებიდან, არამედ უნდა დაისაჯონ. ისინი კი, რომლებიც ახლა ნიანგის ცრემლებს აღვარღვარებენ, დარბაზშიც ვერ შეიყვანეთ სახალხო დამცველის მიერ დადებული დასკვნის განსახილველად. უნდა დადგეს პასუხისმგებლობის საკითხი მათ მიმართ, ვინც იმ არაადამიანებს მფარველობდა. ეს არის მიხეილ სააკაშვილი, საქართველოს მთავრობა, მათ შორის რეგიონებშიც.

სანამ ადამიანი იარსებებს, იქნება კანონდარღვევები, მაგრამ ამის წინააღმდეგ სახელმწიფოს უნდა ჰქონდეს სამართლებრივი მეთოდები.“

ხილული ფაქტების შეფასების შემდეგ თარგამაძემ მათი პარტიის პროგრამაზე ისაუბრა. სოფლის მეურნეობაში გრძელვადიანი დაბალპროცენტიანი სესხები, აგრარული კოოპერატივები, მასწავლებელთა ხელფასების ზრდა; სტუდენტთა 50%-იანი დაფინანსება სახელმწიფოს მიერ, რომლის გაზრდა დამოკიდებული იქნება თითოეული სტუდენტის სწავლების ხარისხზე; პენსიების ზრდა; მეცნიერების მხარდაჭერა... ამ და სხვა საკითხების მოგვარებას მისი თქმით, სახელმწიფო შესძლებს ბიუჯეტის გაზრდითა და მაღალჩინოსანთა პირადი ხარჯების შემცირებით.

—ბიუჯეტის გაზრდა უნდა მოხდეს არა გადასახადების გაზრდით, არამედ გადახდისუნარიან ადამიანთა რიცხვის გაზრდით. დღეს ბიუჯეტიდან უზარმაზარი თანხა იხარჯება სახელმწიფო მოხელეთა მივლინებებზე. რასაც ისინი თავიანთი ოჯახის წევრებთან ერთად ხარჯავენ უცხოეთში მოგზაურობებსა თუ პირადი საჭიროებისათვის. ჩვენ გავზრდით მასწავლებელთა ხელფასებს; აუცილებელია ბაღის მასწავლებლებს მიეცეთ მასწავლებლის სტატუსი და ისარგებლონ იმ შეღავათებით, რითაც მასწავლებლები სარგებლობენ. ყოველი სტუდენტი 50%-იანი გრანტით დაფინანსდება სახელმწიფოს მიერ. ხოლო დანარჩენი 50% -იანი დაფინანსებისთვის თავად სტუდენტები იბრძოლებენ სწავლის ხარისხის ამაღლებით.

შეხვედრაზე სიტყვებით გამოვიდნენ საქართველოს პარლამენტის წევრი გიორგი ახვლედიანი და ოზურგეთის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი ამ პარტიიდან კახა ღლონტი.

„თანხები გადამისამართებულია საარჩევნო ყულაბაში“

მარი კოძოევი

—„რამაზ ნიკოლაიშვილს ორ-სამ დღეში ერთხელ აქვს საკრებულოს ყველა წევრთან შეხვედრა. ნიკოლაიშვილი კატეგორიულად ეუბნება მათ სამოცდაათ პროცენტზე ნაკლებ ხმას წამოიღებთ თქვენი სოფლიდან და თავებს დაგაყრევინებთო. ეს თავად საკრებულოს წევრებისაგან ვიცი, რომელთა ვინაობას მათივე ინტერესებიდან გამომდინარე არ ვამბობ. —განაცხადა საკრებულოს ოპოზიციონერმა დეპუტატმა, ლელა ნაცვალაძემ გასულ კვირას გამართულ პრესკონფერენციაზე.

მან ოზურგეთში ნაციონალების დეპუტატობის კანდიდატი დებატებში გამოიწვია. —„მივმართავ ექს მინისტრს, რომელსაც ჰგონია, რომ გახდება ოზურგეთის დეპუტატი დაჯდეს დებატში ლელა ნაცვალაძესთან. მე ვითხოვ როგორც მუნიციპალიტეტის საკრებულოს ოპოზიციონერი დეპუტატი დამოჯდეს დებატებში, ძალიან ბევრი მაქვს მისთვის სათქმელი.“

ნაცვალაძემ ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების ფაქტებზე გაამახვილა ყურადღება. —„ნაციონალური მოძრაობის დეპუტატობის კანდიდატის შტაბში საჯარო სამსახურის თანამშრომლები, ფაქტიურად ჩასახლებულები არიან. ყველაზე მთავარი დარღვევა ის არის, რომ პრეზიდენტის მიერ დანიშნული ოლქის წევრები ხშირად სტუმრობენ ოფისს. მე ვიღაცის ნათქვამს კი არა, ჩემი თვალით დანახულს ვამბობ. სანდრო ღლონტი, ავთო ჩხაიძე, ნათია ცეცხლაძე ესენი ოლქის ის წევრები არიან, რომლებიც ხშირად სტუმრობენ რამაზ ნიკოლაიშვილის საარჩევნო შტაბს.

მაქვს სარწმუნო ინფორმაცია ფაქტებზე დაყრდნობით, რომ ყველა სოფლის რწმუნებულს საკუთარ სახლებში აქვთ საარჩევნო შტაბები გაკეთებული, სადაც ტრენინგები უტარდებათ ოლქის მიერ დანიშნულ კომისიის წევრებს.

გეტყვით სიებთან დაკავშირებითაც. მოგეხსენებათ, საკრებულომ მიიღო გადაწყვეტილება სოფლებში ნუმერაციის შესახებ. როცა ასეთი გადაწყვეტილება მიიღება უნდა ვრცელდებოდეს ყველა სოფელზე. ამ შემთხვევაში ამორჩა რამდენიმე სოფელი. ეს ის სოფლებია, სადაც ორი და ორზე მეტი საარჩევნო უბანია განთავსებული. ეს სპეციალურად მოხდა იმისთვის, რომ ხელისუფლებას ამომრჩეველი დაებნია. ნატანების 42-ე საარჩევნო უბანზე როცა მოახლე ცხოვრობს საარჩევნო უბნის წინ, რატომ უნდა მისცეს ამ ადამიანმა 8 კილომეტრით მოშორებულ საარჩევნო უბანზე ხმა? ეს არის გაყალბების ერთ-ერთი მცდელობა, ამ უბნებს ხელისუფლება გამოიყენებს როგორც მას უნდა. მე ვამბობდი, რომ ოზურგეთის გაზრდილი ბიუჯეტი უკავშირდებოდა არჩევნებს და გაზრდილი ბიუჯეტი რეალურად იყო ნაც. მოძრაობის საარჩევნო ყულაბა. ჩემი ნათქვამი უკვე ასრულებულია. ბიუჯეტში დღეს ნულია თანხა და ძალიან ბევრი ადამიანი რომელსაც ესაჭიროება ერთჯერადი დახმარება ვერ იღებს მას. ეს იმიტომ, რომ თანხები გადამისამართებულია საარჩევნო ყულაბაში.

სენიორთა ტურნირზე

ოზურგეთის საჭადრაკო კლუბში ჩატარდა 60 წელს გადაცილებულ მოჭადრაკეთა (სენიორთა) 2012 წლის ჩემპიონატი ჭადრაკში, რომელშიც 12 ვეტერანმა მოჭადრაკემ მიიღო მონაწილეობა.

ამ საინტერესო ტურნირში ოზურგეთის თაეტრის მსახიობმა ჯემალ კეჭაყმაძემ გაიმარჯვა. მან 11 შესაძლებლობიდან 8,5 ქულა მოაგროვა. ამდენივე ქულა მოაგროვა ვოვა ტაკიძემ, მაგრამ ურთიერთშეხვედრა ჯემალს ჰქონდა მოგებული.

III ადგილი 8 ქულით კოკი ბაქანიძემ დაიკავა.

IV ადგილზე 7 ქულით რაიონის 4-გზის ჩემპიონი, ოსტატობის კანდიდატი ანატოლი ტიაშენკო გავიდა, ხოლო V 6,5 ქულით მარლენ დოლიძე იყო.

ტურნირის I ნახევარს 81 წლის მოჭადრაკე რომან კუტუბიძე ლიდერობდა, შემდეგ ზედიზედ 2 ქულა დათმო და საპრიზო ადგილებზე გასვლის შანსი დაკარგა. საბოლოოდ მან VII ადგილი დაიკავა.

გამარჯვებულს და პრიზიორებს შესაბამისი ხარისხის დიპლომები და ფასიანი საჩუქრები გადაეცათ. ჯემალ კეჭაყმაძეს სპეციალური პრიზი თეატრის დირექციამ გადასცა.

ტურნირის ორგანიზატორები იყვნენ გურიის ჭადრაკის ფედერაცია (ზურაბ ანდღულაძე) და ოზურგეთის სპორტის განვითარების ცენტრი (გელა შაფაქიძე). ჩემპიონატი ამიერიდან ყოველწლიურად ჩატარდება.

ქალთა კლუბის შეხვედრაზე

ოზურგეთის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში შეხვედრა გაიმართა კულტურულ-ჰუმანიტარული კლუბ „სოხუმის“ ოზურგეთის ქალთა კლუბის წარმომადგენლებისა. შეჯამდა განვლილი წლის შეხვედრების თემატიკა. ისაუბრეს მიმდინარე შეხვედრებზე. კლუბში გამოითქვა სურვილი, შემუშავდეს მიკროპროექტები, რომლებიც ადგილობრივი საკითხების მოგვარებაზე იქნება ორიენტირებული.

პროექტის კოორდინატორმა მანანა ლეშკაშელმა კლუბის გაფართოებაზე გაამახვილა ყურადღება და აღნიშნა, რომ კარგი იქნება, კლუბის წევრებისა და ორი სოფლის წარმომადგენელ ქალთა ერთობლივი მუშაობა. ასევე დაისვა საკითხი, შეიქმნას ახალგაზრდების ჯგუფი, რომლებსაც ჩაუტარდებათ პროფესიული ორიენტაციის სწავლების ტრეინინგები.

ქართული ჭიდაობა

დამთავრდა გურიის რეგიონის ჩემპიონატი ქართულ ჭიდაობაში, სადაც ოზურგეთელმა ფალავნებმა გაიმარჯვეს. II ლანჩხუთლები იყვნენ, III—ჩოხატაურლები. ღონისძიების ორგანიზატორი საქართველოს სპორტის დეპარტამენტი იყო და მას ესწრებოდნენ საქართველოს 8-გზის ფალავანი, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი ალექსანდრე დავითაშვილი, საქართველოს ფალავანი გრიგოლ სპენდერაშვილი და ქართული ჭიდაობის ფედერაციის წარმომადგენლები. სამთავე გუნდს შესაბამისი ფულადი ჯილდო გადაეცათ.

ქართული ჭიდაობის სექციები ლანჩხუთსა და ჩოხატაურში ფუნქციონირებს, ხოლო ოზურგეთში 2013 წლიდან გაიხსნება.

მამული მენაბდე

საუკეთესო ოზურგეთელი, საუკეთესო მეგობარი—ეს ეპითეტები საწუთროდან ახალახან წასულ კაცს მამული მენაბდეს ეკუთვნის. კაცი, რომელიც არა მარტო მისი ოჯახის პატრონი იყო, არამედ ბევრი ადამიანის. შვილებსა და შვილიშვილებში ჩაფლული ახლაც ძველებურად მასპინძლობდა მეგობრებს, ჭირსა და ლხინს იზიარებდა მათთან ერთად.

დიდი სამეგობრო წრე ჰყავდა არა მარტო აქ, არამედ იმ ქვეყნებშიც, სადაც მას ათეული წლები გაუტარებია. განსაკუთრებული შნო და ეშხი ჰქონდა მასთან გატარებულ თითოეულ წუთს. იმ დიდ სამეგობროში კი იყო ის რამდენიმე ადამიანი, რომლებიც მასთან ახალგაზრდობიდან მეგობრობდნენ და ეს ხალხი ახლა მის ლამაზ ფუძეზე ვიკრიბებოდით და ვეფერებოდით ამ წუთისოფელს.

ძნელია შეგუება, რომ აღარ გყავს საუკეთესო მეგობარი. კაცი, რომელსაც უსიტყვოდ ესმოდა სხვისი სატკივარი, რომელსაც შეეძლო გაეზიარებინა სიხარულიც. თუნდაც მისი თამადობა რად ღირდა.

გუშინ ორმოცი დღე შესრულდა და კვლავ შევიკრიბეთ მის საფლავთან მისი ახლობლები და ის მეგობრები, რომელთა შეხვედრა ასე უყვარდა მას.

უახლოესი მეგობრების სახელით

ოლეგ გოგბრონიძე.

დათო ჯინჭარაძე

კიდევ ერთი ქართველი გარდაიცვალა თავის სამშობლოდან შორს, უცხოეთში., ოზურგეთელი დავით ჯინჭარაძე. ოჯახის წევრებმა და მეგობრებმა შეძლეს მისი უკანასკნელი სურვილის შესრულება და მშობლიურ მიწაში მიბარება.

დავით ჯინჭარაძემ 1973 წელს დამთავრა ქ. ოზურგეთის №1 საშუალო სკოლა. ოზურგეთის კვების მრეწველობის ტექნიკუმში საფუძვლიანად დაეუფლა კვების მრეწველობის ტექნოლოგიას და ამ დარგის ერთ-ერთ წარმატებულ სპეციალისტად იქცა.

ტრაგიკული ბედის კაცი დარჩა. სრულიად ახალგაზრდამ შექმნა ოჯახი და მეორე შვილის მომლოდინე საყვარელი მეუღლე, 19 წლის მზია გუდავაძე მოულოდნელად გარდაიცვალა. მაშინ იგი 22 წლის იყო. შრომობდა და დედამამასთან ერთად ვაჟს ზრდიდა. ცხოვრება გრძელდებოდა და 9 წლის შემდეგ დაოჯახდა. ქ. ქუთაისში ცხოვრობდა, აქაც საუკეთესო სპეციალისტის სახელი ჰქონდა. საზოგადოების ყურადღების ცენტრში იყო.

10 წელზე მეტია უკრაინაში ცხოვრობდა და მუშაობდა. ორი წლის წინ მამა გარდაეცვალა. ვერ შეძლო მამის დატირება. ოჯახს მონატრებულს გული აწუხებდა, ჰოდა უმტყუნა გულმა და 56 წლის ასაკში შეუდგა იმქვეყნიურ აღმართს.

დათოს დედა, საოცარი ქალბატონი, სხვისი ჭირისა და ლხინის გამზიარებელი—ასე იცნობენ ოზურგეთში მაყვალა ჯინჭარაძეს. ახლა მისი საზრუნავი ორი შვილიშვილი ალიკა და რამინია, რომლებიც მამის კარგ სახელს ღირსეულად ატარებენ.

მეგობრები

ცოდნით მოძღვრავ ჩვენს მომავალს

მასწავლებელ მარინე ყიფშიძე-დოლიძეს

ცოდნით მოძღვრავ ჩვენს მომავალს
აღსავსე ხარ სიკეთით,
ტაძრისაკენ გზას უკვალავ
რწმენითა და იმედით.
სულ ხარ მოწესრიგებული
თბილი, ალერსიანი,
მისაბაძი მაგალითი
სათნო, ტკბილი ხმიანი.
შესაშური ენერგიით
სხვას უნათებ სავალ გზას,
ცოდნა უხვად დათესილი
თავის გზას არ დაკარგავს.
ნორჩებს მართალ სიტყვას აწვდი
და აყვარებ სიმართლეს,
თქვენებრ კდემით მოსილ
აღმზრდელს
ყველა სკოლა ინატრებს.
თქვენი ნიჭით, შემართებით,
დიდი გამოცდილებით,
დიდხანს ზარდე ჩვენი ქვეყნის
ღირსეული შვილები.
აღზრდილი და მადლიერი
გყავს მრავალი თაობა
და საყვარელ მასწავლებელს
ერთხმად გიხდის მადლობას.

ნოდარ დონაძე

იყიდება
გერმანული პიანინო „როინიში“(კარგ მდგომარეობაში)
დარეკეთ: (557) 98 98 75
დაგვიკავშირდით: (599) 73 31 32.

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ№1. ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311
რედაქტორი **ნუგზარ ასათიანი**
ელ. ფოსტა: nugzarasatiani@rambler.ru